



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ბიზნესის ადმინისტრირება

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

24/01/2022



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ვასილ

გვარი: კიკუტაძე



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სსიპ
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ბიზნესის ადმინისტრირება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეექვსე დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	ა. პოლიტოვსკაიას N61, თბილისი, 0186, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი- აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 2021 წლის 7 ივნისის # 531519 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 7 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2021 წლის 7 დეკემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 7 ივნისი

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, კერძოდ როგორც ცნობილია პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), რაც მოცემული რუკით ბუნდოვანია. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპის დაცვით უნდა დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის ზოგიერთი შედეგის განვითარების დონეები;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების დაზუსტება, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ნაცვლად ბუღალტრული აღრიცხვისა, ასევე საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (Minor) პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) წინაპირობების 4 დაკორექტირება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად (Major) პროგრამაში ამ კურსებზე მითითებული წინაპირობების გათვალისწინებით;
4. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში „საგადასახდო საქმე“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“, „ადამიანური რესურსების მართვა“ მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის/ების განახლება;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები გარდა ორის ბუღალტერიისა შეთავაზებული იქნეს მეორე მოთხოვნადი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაც;
6. რეკომენდებულია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით, რომელ სასწავლო კურსებში მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება.

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 7 ივნისის #531519 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა სრული 7 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების 6 თვეში (07.12.2021-მდე) შესრულების წინაპირობით. აკრედიტაციის დროს პროგრამას განესაზღვრა 6 რეკომენდაცია, რომელიც ასახული იქნა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში. როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციებისა შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა გარკვეული სამუშაოები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით, რითაც უზრუნველყოფილი იქნა გამოთქმული რეკომენდაციების შესრულება. სამუსაო ჯგუფის შეხვედრა განხორციელდა სამჯერ, ხოლო მიღებული შედეგები წარდგენილი იქნა ფაკულტეტის საბჭოზე. არსებული რეკომენდაციების შესაბამისად:

- დაკორექტირდა სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის ამსახველი რუკა, სადაც ნათლად გამოიკვეთა პროგრამის სწავლის შედეგების სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განვითარების დინამიკა;
- მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების დაზუსტება;
- დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრა ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსი და ა.შ., დაზუსტა ასევე (Minor) პროგრამაში

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



შემაჯალი ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა, მაგალითად მარკეტინგის საფუძვლების სასწავლო კურსს მოეხსნა წინაპირობა და ა.შ.;

- განახლდა ცალკეული სასწავლო კურსების (ადამიანური რესურსების მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში, საგადასახადო საქმე) სავალდებულო ლიტერატურა;
- დაზუსტდა ის სასწავლო კურსები და მეთოდოლოგია რომლითაც მიიღწევა პროგრამაში ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით;

რჩევ(ებ)ი⁸

1. -----

2. -----

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით



სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I ¹⁴	რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, კერძოდ როგორც ცნობილია პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), რაც მოცემული რუკით ბუნდოვანია. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპის დაცვით უნდა დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის ზოგიერთი შედეგის განვითარების დონეები
შეფასება	როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა დაწესებულებამ დააკორექტირა პროგრამის სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის ამსახველი რუკა, სადაც ნათლად გამოიკვეთა პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების დინამიკა გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე, რაც ლოგიკურად და კანონზომიერად არის წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის ამსახველი რუკაზე.
რჩევა ¹⁵ I	
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებულია.
მტკიცებულებ(ებ)ა	■ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ■ დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში;

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

¹² სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია II ¹⁶	რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების დაზუსტება, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით დაწესებულებამ „ა(ა)იპ ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება“-ს დაუკვეთა დასაქმების ბაზრის კვლევა, სადაც დეტალურად იქნა შესწავლილი დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე შრომის ბაზრის მოთხოვნები მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულ-ბისათვის. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დაზუსტებული იქნა პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგი, შემდეგი სახით: ▪ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ბიზნეს პროცესების სამართავად კომპეტენციის ფარგლებში ახდენს სამუშაოს დაგეგმვას, ორგანიზებას, მოტივაციას, კონტროლს, დავალებათა სწორ გადანაწილებას და დელეგირებას; ▪ აყალიბებს ეფექტიან მმართველობით გადაწყვეტილებებს ბიზნესის ადმინისტრირებაში ინფორმაციის აღქმის, არსებული პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრების, მონაცემების დამუშავების და სიტუაციების ანალიზის საფუძველზე გარდა აღნიშნულისა, პროგრამის დანარჩენი სწავლის შედეგებიც ჩამოყალიბებულია ნათლად ბლუმის ტაქსონომიის აქტიური ზმნების გამოყენებით, გაზომვადი და რეალისტურია.
რჩევა ¹⁷ II	
შეფასება	როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს დაწესებულების მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



მტკიცებულებ(ებ)ა	- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; - დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში;
------------------	--

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II ¹⁸	რეკომენდებულია სასწავლო კურსის ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ნაცვლად ბუღალტრული აღრიცხვისა, ასევე საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (Minor) პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) წინაპირობების დაკორექტირება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად (Major) პროგრამაში ამ კურსებზე მითითებული წინაპირობების გათვალისწინებით;
შეფასება	როგორც წარმოდგენილი მასალების შესწავლიდან ირკვევა დაწესებულების მიერ აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები, კერძოდ: „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრულია „ფინანსური აღრიცხვის“ სასწავლო კურსი. ანალოგიური ცვლილებები არის განხორციელებული ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (Minor) პროგრამაში, შესაბამისად ფინანსური მენეჯმენტის სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრული ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსი, მარკეტინგული კვლევის პრინციპების სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრულია: მარკეტინგის საფუძვლები და სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში სასწავლო კურსები. ასევე, სასწავლო კურსის მარკეტინგის საფუძვლები წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე.

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა ¹⁹ II	
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებულია.
მტკიცებულებ(ებ)ა	■ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ■ ფინანსური მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსი; ■ მარკეტინგული კვლევის პრინციპების სასწავლო კურსის სილაბუსი; ■ მარკეტინგის საფუძვლების სასწავლო კურსის სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²⁰	<i>რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „საგადასახდო საქმე“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“, „ადამიანური რესურსების მართვა“ მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის/ების განახლება;</i>
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად სასწავლო კურსებში: საგადასახდო საქმე, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში, ადამიანური რესურსების მართვა განახლებულია სავალდებულო ლიტერატურა, ქართულ ენაზე არსებული უახლესი გამოცემებით, კერძოდ: „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურად განისაზღვრა - ნუგზარ პაიჭაძე, „ადამიანური რესურსების მართვა“. 2019 წ.; „საგადასახდო საქმის“ სასწავლო კურსში განახლდა სავალდებულო ლიტერატურა, კერძოდ დამატა შემდეგი სახელმძღვანელოები - 1. გონერ ურიდია, „საგადასახდო საქმე“, თბილისი, 2017 წ; 2. ნარიმან ტერაშვილი, აქტუალური საადრიცხო-საგადასახდო საკითხები ერთ წიგნში, თბილისი 2018; „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურად განისაზღვრა

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	1. ტექსტური რედაქტორი, საპრეზენტაციო პროგრამა, ელექტრონული ცხრილები, MS OFFICE, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014. 2. ვ. ოთხოზორია, ზ. ცირამუა. ინფორმაციული ტექნოლოგიები. სახელმძღვანელო. თბილისი 2015. 3. 2021 წლის ლექტორის რიდერი.
რჩევა ²¹ II	
შეფასება	როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია
მტკიცებულებ(ებ)ა	■ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ■ „საგადასახადო საქმე“ სასწავლო კურსის სილაბუსი; ■ „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ სასწავლო კურსის სილაბუსი; ■ „ადამიანური რესურსების მართვა“ სასწავლო კურსის სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²²	<i>რეკომენდებულია სასწავლო კურსში ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები გარდა ორის ბუღალტერიისა შეთავაზებული იქნეს მეორე მოთხოვნადი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაც;</i>
შეფასება	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა დაწესებულება იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მოცემულ ეტაპზე სასწავლო კურსის სახელწოდების და შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით დააკორექტირა სასწავლო კურსის სახელწოდება შემდეგი ფორმულირებით: „ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა ORIS ბუღალტერია“. აღნიშნული ცვლილება ცხადია უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სახელწოდების და მისი შინაარსი სრულ თავსებადობას, თუმცა

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	სამომავლოდ დაწესებულებამ სასურველია იფიქროს პროგრამის თუნდაც ფინანსების მოდულის სტუდენტებისათვის არჩევითი კურსის სახით სხვა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის დამატებით შეთავაზებაზეც.
რჩევა ²³ II	
შეფასება	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან მოცემულ ეტაპზე შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
მტკიცებულებ(ებ)ა	■ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ■ „ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა ORIS ბუღალტერია“ სასწავლო კურსის სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია II ²⁴	<i>რეკომენდებულია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით, რომელ სასწავლო კურსებში მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება.</i>
შეფასება	როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში დააზუსტა ის სასწავლო კურსები, სადაც ხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება. აღნიშნული სასწავლო კურსებია: „მარკეტინგული კვლევის პრინციპები“, „ფინანსური ანგარიშგება“, „პროექტების მართვა“ და „ბიზნესის ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება“. დაკონკრეტებულია ასევე ის მეთოდოლოგია (დავალების/პროექტის

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	შესრულება, სიტუაციური ამოცანა; შემთხვევის ანალიზი და ა.შ) რომლითაც ხდება აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნული ცვლილებები სათანადოდ არის ასახული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში.
რჩევა ²⁵ II	
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებულია.
მტკიცებულებ(ებ)ა	- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; - სასწავლო კურსების „მარკეტინგული კვლევის პრინციპები“, „ფინანსური ანგარიშგება“, „პროექტების მართვა“ და „ბიზნესის ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება“ სილაბუსები;

თანდართული დოკუმენტაცია²⁶

- დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში (14 გვერდი);
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (24 გვერდი);
- დასაქმების ბაზრის კვლევა (22 გვერდი);

განახლებული სილაბუსები:

- მარკეტინგული კვლევის პრინციპები (10 გვერდი);
- ფინანსური ანგარიშგება (8 გვერდი);
- ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა ORIS ბუღალტერია (8 გვერდი);
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (9 გვერდი);

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁶ თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



- საგადასახადო საქმე (10 გვერდი);
- ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში (9 გვერდი);
- ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები (10 გვერდი);

ექსპერტის ხელმოწერა

20/01/2022